საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN3

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

05 მარტი 2024 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. დავით ცხადაძე, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ბარათაშვილი ; 8. ნატალია ასათიანი, 9. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: ომარი ჯიხვაშვილი, რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282406188 წერილი, 01/03/2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282406188 წერილი, 01/03/2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში '(მიწის უძრავი ქონების ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის - (დედის ლოცვა) დადგმის შესახებ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282403346 წერილი, 02/02/2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

როგორც მოგეხსენებათ 2023 წლის 14 ივნისს , საქართველოს პარლამენტმა მიიღო ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან.

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, - მუნიციპალიტეტის მერია, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს, ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ვალდებულია პირველ ივნისამდე დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ეს არის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციებს :

ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი

თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;

გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ვ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დანაწესით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ვალდებულება ჩვენს მიერ ასახულია ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტში და მითითებული ფუნქციები ემატება შესაბამის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას. აქვე განვმარტავთ, რომ შემდეგი ცვლილებაც განპირობებულია ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტში, საქმისწარმოებისა და ადამინური რესურსების მართვის განყოფილებას ემატება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შტატი (მესამე რანგის პირველი კატეგრიის უფროსი სპეციალისტი).
ხოლო ამავე დადგენილების პროექტში მეორე ცვლილება შეეხება შესყიდვების განყოფილებაში არსებული ვაკანტური პოზიციის კორექტირებას, რომელიც მოცემული დროისათვის წარმოადგენს მესამე რანგის მეორე კატეგორიას, კორექტირების შემდეგ კი გარდაიქმნება პირველ კატეგორიად. მიგვაჩნია , რომ აღნიშნული ცვლილებით ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის წესით შესაძლებელი იქნება მაღალი კვალიფიკაციის მქონე საჯარო მოხელის მიღება.

შენიშვნა: ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლი, რომლის თანახმადაც იმოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ამოქმედდება 2024 წლის 1 ივნისიდან. მანამდე სავალდებულოა აღნიშნული დოკუმენტების მიღება რათა პირველი ივნისამდე უნდა განხორციელდეს ოფიცრის დანიშვნა.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს ასევე განუმარტა, რომ შესაბამისად ცვლილება უნდა განხორციელდეს საკრებულოს აპარატის დებულებასა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში, ვინაიდან ახალი კანონის თანახმად ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია პირველ ივნისამდე დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი იქნება საკრებულოს აპარატის დებულებაში.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, დავით ცხადაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

3. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ნატალია ასათიანმა, ნინო ჩხიკვაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

4. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

5. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (მიწის უძრავი ქონების ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის - (დედის ლოცვა) დადგმის შესახებ”

როგორც მოგეხსენებათ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 29 იანვარს განცხადებით მომართა მოქალაქე იური აბულაძემ, რომელსაც სურვილი აქვს თავისი ინიციატივით და საკუთარი ხარჯებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს/კ 33.15.32.467) განათავსოს სახვითი ხელოვნების ძეგლი (დედის ლოცვა- შესასრულებელი მასალა: - ბრინჯაო , ზომით - კვარცხლბეგი სიმაღლით 1,50მ, ძეგლის სიმაღლე - 2.50 მ.) ობიექტს დაამზადებს მოქანდაკე გიორგი კიკვაძე.

მოქმედი კანონმდებლობა მუნიციპალიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებას, შესაბამისად მოგვმართა თხოვნით, საკრებულოს სხდომაზე განვიხილოთ მითითებული საკითხი და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. ასევე განუმარტა კომისიის წევრებს, რომ განკარგულების პროექტს თან ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ორთოფოტო, საკადასტრო გეგმა),რაც წარმოადგენს,სამართლებრივ საფუძველს.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს განკარგულების პროექტი,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (მიწის უძრავი ქონების ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის - (დედის ლოცვა) დადგმის შესახებ"

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: